

შპს ეტელტა ჰიდრო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2019 წლის 31 დეკემბერს

შპს ეტელტა ჰიდრო
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

3

ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

4

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება

5

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

6

საკუთარი კაპიტალის ცვლილებებია ანგარიშგება

7

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

8

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

9

3. ახსნა -განმარტებითი შენიშვნები

14

4. პირობითი ვალდებულებები

18

5. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

19

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ეტელტა ჰიდრო“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, საწარმოთა ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ჯგუფის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და მენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ბასს ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

თემური ნოლაიდელი

დირექტორი

2020 წლის 27 სექტემბერი

ნანა ქავთარაძე

მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 27 სექტემბერი

შპს ეტელტა ჰიდრო კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>7</u>	2 856 963	3 024 733
არამატერიალური აქტივები	<u>8</u>	1 122 165	1 122 165
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 979 128	4 146 898
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	<u>9</u>	2 396	12 164
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	<u>10</u>	127 844	123 086
მარაგები	<u>11</u>	692	
სულ მოკლევადიანი აქტივები		130 932	135 250
სულ აქტივები		4 110 060	4 282 148
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		26 891	26 891
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-724 054	-413 561
სულ კაპიტალი		-697 163	-386 670
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	<u>12</u>	2 511 788	2 436 312
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2 511 788	2 436 312
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	<u>13</u>	2 082 154	2 074 980
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>14</u>	116 162	95 513
საგადასახადო ვალდებულებები		97 120	62 014
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2 295 435	2 232 507
სულ ვალდებულებები		4 807 223	4 668 819
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4 110 060	4 282 148

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 27 სექტემბერს.

თემური ნოღაიდელი

დირექტორი



ნანა ქავთარაძე

მთავარი ბუღალტერი



შპს ეტელტა ჰიდრო

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარიში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	<u>1</u>	511 370	766 907
თვითღირებულება			
საერთო მოგება		511 370	766 907
სხვა შემოსავლები	<u>2</u>		8 962
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>3</u>	(248 736)	(382 771)
სხვა ხარჯები			
საოპერაციო მოგება		262 634	393 098
ფინანსური შემოსავალი	<u>4</u>		
ფინანსური ხარჯი	<u>5</u>	(277 807)	(379 191)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(295 320)	(186 520)
მოგება დაბეგვრამდე		(310 493)	(172 613)
მოგების გადასახადი	<u>6</u>		
წმინდა მოგება		(310 493)	(172 613)
სხვა სრული შემოსავალი:			
სრული ზარალი		(310 493)	(172 613)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 27 სექტემბერს.


თემური ნოღაიდელი

დირექტორი



ნანა ქავთარაძე

მთავარი ბუღალტერი



შპს ეტელტა ჰიდრო

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)


	შენიშვნა	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		264 944	378 081
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		0	26 881
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		-274 567	-450 453
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		-9 623	-45492
სავალუტო კურსის ეფექტი		-146	56 301
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში		12 164	1 355
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს		2 396	12164

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 27 სექტემბერს.


თემური ნოღაიდელი

ნანა ქავთარაძე

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი



შპს ეტელტა ჰიდრო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)


	საწესდებო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	10		-240 948	-240 938
წმინდა მოგება	0	0	-172 613	-172 613
სხვა სრული შემოსავალი	0	0		0
პერიოდის სრული შემოსავალი		0	-172 613	-172 613
გაცემული დივიდენდი			0	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირე	26 881	0	0	26 881
2018 წლის 31 დეკემბერი	26 891	0	-413 561	-386 670
წმინდა მოგება	0	0	-310 493	-310 493
სხვა სრული შემოსავალი	0	0		0
პერიოდის სრული შემოსავალი	0	0	-310 493	-310 493
გაცემული დივიდენდი	0	0	0	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	0		0
2019 წლის 31 დეკემბერი	26 891	0	-724 054	-697 163

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 27 სექტემბერს.

თემური ნოღაიდელი

ნანა ქავთარაძე

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი



1. ზოგადი ინფორმაცია

- შპს ეტელტა ჰიდრო დაფუძნდა 2017 წლის 20 ნოემბერს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და წარმოადგენს მშობელ საწარმოს. მშობელი და მისი შვილობილი კომპანია ერთობლივად მოიხსენიება როგორც „ჯგუფი“
- კომპანიის საქმიანობის სფერო საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.
- კომპანიის დამფუძნებლები 2020 წლის 6 მარტამდე დამფუძნებელი იყო გივი გიგინეიშვილი 100%, 2020 წლის 6 მარტიდან სულხან პაპაშვილი- 100%
- კომპანია 2017 წლის 27 დეკემბრიდან ფლობს შვილობილ კომპანიას შპს ერა ჯორჯიას, სადაც მისი წილი განისაზღვრება 100 %-ით; 6. შპს ერა ჯორჯია ს/კ 404495514 დაარსდა 2015 წლის 12 ივნისს საქმიანობის სფერო ელექტროენერგიის წარმოება ჰიდროელექტროსადგურის მიერ.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 27 სექტემბერს.

თემური ნოღაიდელი

დირექტორი



ნანა ქავთარაძე

მთავარი ბუღალტერი



2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა წინამდებარე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადისაწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის), ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე / გრძელვადიან დაყოფას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მშობლის და მისი შვილობილების შედეგებს, ფულად ნაკადებს, აქტივებს და ვალდებულებებს. შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც ჯგუფზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვითება მთლიანად. ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის ანგარიშგებებში ცალკე არის წარმოდგენილი არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული შვილობილების წმინდა აქტივებში და შედეგებში. შვილობილში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს ჯგუფის მიერ კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება პირდაპირ კაპიტალში, არამაკონტროლებელი წილის შემცირებით/გაზრდით და სხვაობა ამ ცვლილებასა და გადახდილ ან მიღებულ თანხას შორის აღიარდება „სხვა რეზერვების“ კატეგორიაში. მშობელი ფლობს შპს ურა ჯორჯია ს 100%, რომელიც ახორციელებს ელექტრო ენერგიის წარმოება რეალიზაციას ჰიდროელექტროსადგურის მიერ. ეს შვილობილი კომპანია კონსოლიდირებულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია სპეციალური დანიშნულების ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საღაროში ნაღდი ფულისგან და საბანკო მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისაგან.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულება გამოთვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღირიცხება ხარჯად. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

საოფისე შენობები - 20-45 წლამდე

ავეჯი და მოწყობილობები 5-10

კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა 5

სატრანსპორტო საშუალებები 5

მანქანა-დანადგარები (პესის ძალოვანი ნაწილები) 20

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. შეკეთებაგანახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი. ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის განმავლობაში გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და

ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება მაშინ, როდესაც აქტივები ექსპლუატაციისთვის მზად არის.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. პირველადი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, საბანკო საპროცენტო განაკვეთით და არა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით სხვაობის არაარსებობის გამო. სესხებიდან მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში. ნასესხები სახსრების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან აისახება ამ აქტივის თვითღირებულებაში, ხოლო სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების აღიარება ხდება პერიოდის ხარჯის სახით განსაკუთრებული აქტივი არის ისეთი აქტივი, რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისთვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი. საწარმომ სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია, განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში უნდა დაიწყოს კაპიტალიზაციის დაწყების თარიღიდან. კაპიტალიზაციის დაწყების თარიღად მიიჩნევა ის თარიღი, როდესაც საწარმო პირველად დააკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას:

ა) განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები;

ბ) გაწეულია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;

გ) დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯის კაპიტალიზაციის პროცესი უნდა შეწყდეს მაშინ, როდესაც, ძირითადად, დამთავრდება მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა აქტიური სამუშაო. ჯგუფი ახორციელებს განსაკუთრებულ აქტივში სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციას რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან.

გადასახადები

გადასახადები მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2017 წლის იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში მოგების გადასახადის ცვლილების შესაბამისად ჯგუფი წყვეტს გადავადებული საგადასახადო აქტივს/ვალდებულების აღიარებას, ხოლო მოგების გადასახადის ვალდებულების აღიარებას

მოახდენს მხოლოდ განაწილებული დივიდენდის და სხვა არაეკონომიკ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის დროს. საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას უნდა აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო პირველადი აღიარების შემდგომ - თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. არამატერიალური აქტივები შესაძლებელია იყოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივებისთვის ხდება ამორტიზაციის დარიცხვა სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის – 4- 10 წლის განმავლობაში და შემდეგ გაუფასურების ნიშნების არსებობისას ხდება მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

გუდვილი

გუდვილი, რომელიც წარმოიქმნება ბიზნეს კომბინაციის შედეგად, თავდაპირველად აღიარდება იმ ღირებულებით, რაც წარმოადგენს გადახდილი ანაზღაურების და არამაკონტროლებელი წილის ჯამის ნამეტს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების და ვალდებულებების სხვაობაზე. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გუდვილს აკლდება გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გუდვილი არ ამორტიზირდება

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის აღიარება ხდება ფაქტობრივად შევსებული აქტივის რეალური ღირებულებით, როგორც კაპიტალი. დივიდენდები - დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები წარმოდგინდება, როდესაც მათი გამოცხადება ხდება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე, ან თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

უცხოური ვალუტის აღრიცხული ოპერაციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგებაზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო ზარალი.

შემოსავლების აღიარება

ჯგუფს გააჩნია რამდენიმე სახის შემოსავალი, მათ შორის მომსახურების და საქონლის მიწოდებიდან; სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რეალიზაციის აღიარებას ჯგუფი ახდენს ამ საქონელთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის, სარგებლის და კონტროლის გადაცემის შესაბამისად; მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილ შემოსავლებს ჯგუფი აღიარებს ფასს 15-ის შესაბამისად, კერძოდ, როდესაც მოსალოდნელია აღნიშნულ მომსახურებას სანაცვლოდ შესაბამისი საზღაურის მიღება და შემოსავალთან დაკავშირებით ყველანაირი ვალდებულება შესრულებულია. ჯგუფის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს გამომუშავებული ელექტროენერგიის რეალიზაცია. შემოსავლის აღიარება ხდება ყოველი თვის ბოლო თარიღით ელექტროენერგიის მიმღებ კომპანიასთან გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ჯგუფი დანახარჯების აღიარებს ოპერაციის მოხდენის მომენტში, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 27 სექტემბერს.

თემური ნოლაიდელი

ნანა ქავთარაძე

დირექტორი

ა. ნოლაიძე

მთავარი ბუღალტერი

ნ. ქავთარაძე

3. ახსნა განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1

ამონაგები

ლარი

შემოსავალი ელექტროენერგიის წარმოებით

31,12,2019 31,12,2018

511 370 766 907

511 370 766 907

შენიშვნა 2

სხვა შემოსავლები

ლარი

ვალდებულებების ჩამოწერით მიღებული შემოსავალი

31,12,2019 31,12,2018

0 8 962

0 8 962

შენიშვნა 3

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი

31,12,2019 31,12,2018

შრომის ანაზღაურება

-25 039 -84 606

ცვეთა და ამორტიზაცია

-167 770 -168 041

ქონების გადასახადი

-29 673 -31 284

ელ.ენერგიის გადაცემა დისპეჩერიზაციის

-23 249 -28 702

საბანკო მომსახურების ხარჯები

-905 -66 646

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

-2 102 -3 492

-248 736 -382 771

შენიშვნა 5

ფინანსური ხარჯები

ლარი

საპროცენტო ხარჯი

31,12,2019 31,12,2018

-277 807 -379 191


-277 807 -379 191

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 27 სექტემბერს.


თემური ნოღაიდელი

ნანა ქავთარაძე

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი



შენიშვნა 7

ძირითადი
საშუალებები

ლარი

	მიწა	შენიშვნები	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	მცირეფასიანი ინვენტარი	ჯამი
ლარში						
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	22494	653381	245006	2453281	68	3374230
შესყიდვა					153	153
გასვლა						0
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	22494	653381	245006	2453281	221	3374383
შესყიდვა						0
გასვლა						0
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	22494	653381	245006	2453281	221	3374383
დაგროვილი ცვეთა						0
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით		35391	13324	132886	7	181608
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით		68061	25977	255550	62	349649
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით		100730	38399	378214	76	517419
საბალანსო ღირებულება						0
2017 წლის ბოლოს	22494	617989	231682	2320395	61	3192622
2018 წლის ბოლოს	22494	585320	219029	2197731	159	3024733
2019 წლის ბოლოს	22494	552651	206606	2075067	144	2856963

შენიშვნა 8

არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებში ასახულია კონსოლიდირების შედეგად წარმოშობილი გუდვილი 1 122 165 ლარის ოდენობით


შენიშვნა 9

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები
ლარი

	31,12,2019	31,12,2018
ფული სალაროში	2 360	12 124
ფული ბანკში	36	40
	<u>2 396</u>	<u>12 164</u>


თემური ნოღაიდელი

დირექტორი



ნანა ქავთარაძე

მთავარი ბუღალტერი



შენიშვნა 10

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
ლარი

	31,12,2019	31,12,2018
სავაჭრო მოთხოვნები სს ელექტოენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მიმართ	127 844	123 086
	<u>127 844</u>	<u>123 086</u>

შენიშვნა 11

მარაგები

ლარი

31,12,2019

Ultraflash ლედ პროექტორი თეთრი ნათებით	127
ელ. სადენის მილი(შლანგი) 26-ნი მაგთულით	66
ქუჩის განათება E27 (NURSAN)	25
Camelion ეკონომიური LED ნათურა Energy Saving LE	8
იბ. კაბელი kocenergy CYKYLO-F 3X1.5	154
ფიკარი (იმპორტ. / სახელმწ. საკუთრ. მიქცეული)	160
არმატურა დ18მმ	97
კუთხოვანა 60X60X5	53
	<u>692</u>

შენიშვნა 12

გრძელვადიანი სესხები

ლარი

31,12,2019

31,12,2018

საქართველოს ბანკის სესხი --3159678	1 778 344	1 733 776
საქართველოს ბანკის სესხი --5170607	733 444	702 536
	<u>2 511 788</u>	<u>2 436 312</u>

თემური ნოღაიდელი

დირექტორი

თ. ნოღაიდელი

ნანა ქავთარაძე

მთავარი ბუღალტერი

ნ. ქავთარაძე

შენიშვნა 13

მოკლევადიანი სესხები

	ლარი	<u>31,12,2019</u>	<u>31,12,2018</u>
დამფუძნებლის სესხი		<u>2 082 154</u>	<u>2 074 980</u>
		<u>2 082 154</u>	<u>2 074 980</u>

შენიშვნა 14

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	ლარი	<u>31,12,2019</u>	<u>31,12,2018</u>
სავაჭრო ვალდებულებები		<u>30 414</u>	<u>31 228</u>
სახელფასო დავალიანება			<u>6 640</u>
დავალიანება თანამშრომლების მიმართ		<u>85 748</u>	<u>57 645</u>
		<u>116 162</u>	<u>95 513</u>

თემური ნოღაიდელი

დირექტორი

მ. ნიკოლაძე

ნანა ქავთარაძე

მთავარი ბუღალტერი

ნ. ქავთარაძე

4. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვლადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში. კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განხორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო დავები

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

5. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 27 სექტემბერს.

თემური ნოღაიდელი

დირექტორი



ნანა ქავთარაძე

მთავარი ბუღალტერი

